4 707 № 10176

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# საბრძოლო გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 3 დეკემბერი, 1988 წელი. ● № 49 (3077) ● СУББОТА, 3 ДЕКАБРЯ 1988 г.

# ОБРАЩЕНИЕ

**УЧАСТНИКОВ ВСЕСОЮЗНОГО СЛЕТА СОТРУДНИКОВ ОРГАНОВ ВНУТРЕННИХ ДЕЛ, ПРИНИМАВШИХ УЧАСТИЕ В ОКАЗАНИИ ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОЙ ПОМОЩИ РЕСПУБЛИКЕ АФГАНИСТАН, КО ВСЕМ СОТРУДНИКАМ - ИНТЕРНАЦИОНАЛИСТАМ.**

ДОРОГИЕ ТОВАРИЩИ!

Мы, участники Всесоюзного слета, обращаемся ко всем сотрудникам - интернационалистам с призывом приложить весь свой жизненный и профессиональный опыт для неуклонного претворения в практические дела исторических решений XXVII съезда КПСС, XIX Всесоюзной партийной конференции, внести конкретный вклад в реализацию задач, стоящих перед коллективами органов внутренних дел, подразделений внутренних войск, учреждений и учебных заведений, в укрепление правопорядка, усиление нравственного и патриотического воспитания личного состава, повседневными делами, высокой интеллигентностью и культурой оправдать уважение и признательность народа к нам — воинам-интернационалистам.

Вдали от родного дома, в тяжелых условиях суровой войны мы по-особому почувствовали сыновнюю связь с родимой землей, неотделимость каждой человеческой судьбы от судьбы Отчизны.

Мы стали строже и ответственнее оценивать не только себя, свои действия и поступки, но и тех, чей покой и достоинство мы охраняем в мирные дни.

Мы благодарим Коммунистическую партию Советского Союза за высокую оценку нашей деятельности в ратном и мирном труде, большую заботу о нас. Одним из примеров этого является данный слет.

При выполнении интернационального долга в Афганистане мы, как и все советские люди, стремились проявить мужество и стойкость, выдержку и самообладание, солидарность и милосердие: словом, все лучшие качества, присущие посланцам Страны Советов.

Наши ратные и советнические дела не были напрасными, несмотря на неимоверные трудности и человеческие жертвы.

Руководство, коллегия, Политическое управление МВД СССР, партийные и комсомольские организации могут на каждого рассчитывать, как и прежде, нас не испугают самые ответственные участки, новые задания, чтобы по-прежнему Родина гордилась нами.

Сегодня наша задача — добиться глубокого понимания молодым пополнением своего патриотического долга, сознательного и безупречного исполнения требований Присяги.

Осознавая полноту ответственности, примем непосредственное участие в воспитании молодежи органов внутренних дел и внутренних войск в духе пролетарского интернационализма, несокрушимой братской дружбы народов СССР, неукоснительного соблюдения дисциплины и социалистической законности, защиты прав и интересов советских граждан.

Мы призываем сотрудников - интернационалистов принципиально оценить свой личный вклад в перестройку, усилить борьбу с преступностью и правонарушениями, проявить больше инициативы, энтузиазма и творчества, профессионализма и ответственности, неустанно учиться работать в условиях расширяющейся гласности и демократии.

Наш опыт нужен сегодня подросткам в школах и профессионально-технических училищах, в работе с неформальными объединениями, в детских домах и школах-интернатах для детей-сирот и детей, оставшихся без попечения родителей. Мы считаем делом чести — взять над ними шефство, помочь юношам и девушкам стать настоящими интернационалистами, с твердых позиций выступать против любых проявлений национализма, местничества, шовинизма.

Наш святой долг перед памятью павших друзей — окружить заботой и вниманием их семьи. Образцовой службой, примерностью во всем продолжить славные героические традиции партии Ленина, нашего народа, Советской Армии и органов внутренних дел.

В нерушимом соблюдении законности, идейной убежденности и политической закалке, профессиональном мастерстве, самоотверженном служении Отечеству, партии, народу заключены основы нашего авторитета у трудящихся.

За такой авторитет будем бороться, укрепляя его честным и безупречным трудом!

Обращение принято на Всесоюзном слете.

г. Фрунзе



# ოფიციალური ინფორმაცია

● 1988 წლის 28 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

● 29 ნოემბერს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთორმეტე სესია. იგი გაიხსნა კავშირის საბჭოთა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

სესიაზე განსახილველად გამოტანილი იყო საკითხები:

1. სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.
2. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

საკითხები შემოიტანეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. წინადადება სესიის დღის წესრიგში მათი შეტანის შესახებ მოიწონეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოებმა.

სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

● სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. (გამოსვლა რამდენჯერმე გადაიცა რესპუბლიკის ტელევიზიით, გამოქვეყნდა პრესაში).

● 1 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთორმეტე სესიამ.

● სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისა და მის გარშემო ვითარების გამო დეპუტატთა ჯგუფის მიერ შეკითხვის წესით აღძრულ საკითხზე.

# НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**28 НОЯБРЯ состоялось оперативное совещание руководящего состава МВД Грузинской ССР, которое провел заместитель министра внутренних дел республики полковник Т. Эпиташвили.**

**О состоянии оперативной обстановки в республике за 27 дней ноября и об итогах оперативно - профилактических мероприятий, проведенных по зонам 14-23 ноября 1988 г., руководящих работников министерства проинформировал начальник оргинспекторского отдела МВД Грузинской ССР подполковник милиции К. Буджнашвили. Внимание руководства УУР МВД Грузинской ССР (начальник — полковник Т. Варданашвили) и УООП МВД Грузинской ССР (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) обращено на наметившуюся в ноябре т. г. тенденцию роста убийств, тяжких телесных повреждений, краж, грабежей и разбоев личного имущества, угонов автотранспорта, и с учетом их распространенности, предложено принять меры по стабилизации обстановки в этом направлении. Руководителям зон при проведении комплексных оперативно - профилактических мероприятий, с учетом высказанных замечаний, предложено наиболее предметно и конкретно разобраться во всех вопросах и добиться реального улучшения оперативной обстановки в регионах.**

**С информацией о грубых нарушениях дисциплины сотрудниками Потийского ГОВД и Абашского РОВД, выявленных в ходе профилактического рейда в западных районах республики, на совещании выступил начальник ИЛС УК МВД Грузинской ССР майор милиции З. Амилахвари.**

**На совещании была также заслушана информация заместителя начальника УК МВД Грузинской ССР майора милиции Р. Хубулия о ходе аттестования сотрудников УИД МВД Грузинской ССР.**

# საღმა აზრმა გაიმარჯვა

**მთავრობის** სახლთან მიმდინარეობდა უსანქციო მიტინგები, რომლებიც მოაწყვეს ცალკეულმა პირებმა და არაფორმალურმა გაერთიანებებმა. უფრო მეტიც, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ჯგუფმა, როგორც ცნობილია, შიმშილობაც კი გამოაცხადა. ცხადია, რომ ყოველივე ამან სერიოზულად დაარღვია ქალაქის ცხოვრების ნორმალური რიტმი. შექმნილ რთულ სიტუაციაში მაქსიმუმი გამძლეობა და პასუხისმგებლობა გამოავლინეს სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებმა, რომლებიც ცდილობდნენ დიდი ტაქტით, მოთმინებით განემარტათ ყველაფერი, რათა თავიდან აეცილებინათ ქალაქში მდგომარეობის შემდგომი გართულება, დაეცვათ აქ სათანადო წესრიგი.

რესპუბლიკის ტელევიზიითა და რადიოთი, გაზეთების ფურცლებზე გამოდიოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები, ჯანმრთელობის დაცვისა და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, რომლებიც რესპუბლიკის ახალგაზრდობას მოუწოდებდნენ ამ რთულ, დაძაბულ დღეებში გონიერებითი და საღი აზრით ეხელმძღვანელათ. ბევრ მათგანს უშუალოდ ახალგაზრდებს შორისაც დაინახავდით. ისინი ქალიშვილებსა და ჭაბუკებს პრინციპულად და გულახდილად ესაუბრებოდნენ, ეკამათებოდნენ, აფრთხილებდნენ, რაიმე შეცდომა არ მოსვლოდათ და მოუფიქრებლად არაფერი მოემოქმედებინათ, სწორ გზაზე აყენებდნენ.

ახალგაზრდებს გააცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიმართვის ტექსტი. სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. საღმა აზრმა გაიმარჯვა.

29 ნოემბერს დღის პირველ საათზე შიმშილობა შეწყდა. მთავრობის სახლთან შეკრებილნი დაიშალნენ, ტრანსპორტი კვლავ ამუშავდა, ქალაქის ცხოვრება ადრინდელ კალაპოტში ჩადგა.

(საქინფორმი)

XIX საკავშირო პარტკონფერენციის კურსით

# უბნის ინსპექტორთა სამსახური: გამოცდილება, პრობლემები...

**თბილისში** ჩატარდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსის მოადგილეების სამსახურის ხაზით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვედანაყოფების უფროსებისა და უფროსი ინსპექტორების თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლკოვნიკმა თ. ეპიტაშვილმა. მოხსენებით გამოვიდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი გ. ბიჭაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველი რესპუბლიკური თათბირის ჩატარებიდან გავიდა წელიწადნახევარზე მეტი, რომლის დროსაც მიმდინარეობდა უბნის ინსპექტორთა სამსახურის რეორგანიზაცია, ჩატარდა გარკვეული სამუშაო უბნის ინსპექტორთა ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის გარდაქმნის, აქტივიზაციისა და სრულყოფის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უბნის ინსპექტორთა სამსახურის კადრების განმტკიცებას, რომლის რაოდენობაც გასულ წელს გაიზარდა 20, 5 პროცენტით. გადაისინჯა ადმინისტრაციული უბნების საზღვრები. ამჟამად თითოეული უბნის ინსპექტორი საშუალოდ ემსახურება 4,7 ათას მოსახლეს (ადრე 6 ათასამდე, ზოგჯერ 7-9 ათასამდე მოსახლეს). უბნის ინსპექტორთა 40, 7 პროცენტი სკკპ წევრია. დღეისათვის სამუშაო კაბინეტებით უზრუნველყოფილია უბნის ინსპექტორთა 73,2 პროცენტი, სამსახურის ტელეფონით 56,8 პროცენტი, ბინის ტელეფონით 56, 1 პროცენტი. ცხრა თვის შედეგებით გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით, რესპუბლიკაში 0, 8 პროცენტით იკლო რეციდიული დანაშაულობების ხვედრითმა წილმა. ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებები ჯერ კიდევ შესამჩნევია. ზოგან ფორმალურად ეკიდებიან უბნის ინსპექტორთა სამსახურის დაკომპლექტების საკითხს, უბნის ინსპექტორების ხარჯზე აძლიერებენ სხვა სამსახურებს. ასე მოიქცნენ ახალციხის, ხაშურის, წყალტუბოს, საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებში. დაბალ დონეზეა ამ სამსახურის თანამშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის მდგომარეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ სამსახურებრივ საქმიანობაზე. მართალია განყოფილებათა უმრავლესობაში უბნის ინსპექტორები მონაწილეობენ და პირადად ხსნიან დანაშაულობათა 60-70 პროცენტს, მაგრამ სამწუხაროდ ყველგან ასე არ არის. მაგალითად, ქარელის, ბორჯომის და ცხაკაიას შს განყოფილებების უბნის ინსპექტორებს არ გაუხსნიათ სისხლის სამართლის არცერთი დანაშაული. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელია უბნის ინსპექტორთა მუშაობა სამხრეთ ოსეთის შს სამმართველოში, საჩხერეში, თერჯოლაში, კასპში, ვანში.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ შეცდომებზე, რომლებიც გვხვდება საყოფაცხოვრებო სფეროში მომხდარ დანაშაულობათა პროფილაქტიკის ორგანიზებაში. მოიყვანა მაგალითები. აღნიშნა, რომ უბნის ინსპექტორებს მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ სხვა სამსახურებთან. დღემდე ვერ აღიკვეთა უბნის ინსპექტორთა სხვა დანიშნულებით გამოყენების ფაქტები.

თათბირზე სიტყვით გამომსვლელებმა ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც უმოკლეს დროში უნდა გადაწყდეს. გთავაზობთ ზოგიერთი გამომსვლელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს:

**ვ. დგებუაძე, თბილისის შს სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

...დიდი მომთხოვნელობა, რომელსაც უყენებენ უბნის ინსპექტორებს, არ შეესაბამება მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობას. დღეისათვის უბნის ინსპექტორთა 35,8 პროცენტი არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო კაბინეტებით, 10,2 პროცენტი საცხოვრებელი ბინით, 48,2 პროცენტი ბინის ტელეფონით. ჩვენ ხშირად ვღებულობთ საჩივრებს მოსახლეობისაგან, რომლებიც აღნიშნავენ უბნის ინსპექტორთა არაკომპეტენტურობას, მათ უყურადღებობას. აქვე ვიტყვით, რომ ადგილი ჰქონდა სოციალისტური კანონიერების დარღვევის ორ ფაქტს კიროვისა და გლდანის შს რაიგანყოფილებაში. ათობით უბნის ინსპექტორი დაისაჯა დისციპლინარული წესით.

მილიციის ორგანოებს, კერძოდ უბნის ინსპექტორებს დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს საზოგადოებრივმა ფორმირებებმა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 80 პუნქტი მილიონიანი ქალაქისათვის ცოტაა, მითუმეტეს, როდესაც თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა ისინი პრაქტიკულად არ მოქმედებენ... კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო, კარგი საქმე გაკეთდა, როდესაც შესაძლებელი გახდა ის, რომ უბნის ინსპექტორმა შეიძლება მიიღოს მილიციის პოდპოლკოვნიკის წოდება. მაგრამ ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ამ თანამშრომლებს უნდა უხელმძღვანელონ გამოცდილმა პროფესიონალებმა, მათი შერჩევა კი ძნელდება იმის გამო, რომ აქ ხელფასიც და თანამდებობრივი მაქსიმუმიც დაბალია. მაშინ როდესაც მილიციის ოპერატიულ სამსახურებს ამ მხრივ უკეთესი პირობები აქვთ. ალბათ დადგა დრო საკავშირო სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი ამ პრობლემის გადასაწყვეტად...

**ე. ბუცხრიკიძე, ქუთაისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი.**

...ვფიქრობთ, რომ კანონმდებლობით უნდა შევიწროვდეს უბნის ინსპექტორთა საქმიანობის ფრონტი და მათი მთავარი ამოცანა გახდეს დანაშაულის აცილება — აღკვეთა, ბრძოლა კრიმინოგენულ ფაქტებთან. ამ საქმეში უბნის ინსპექტორებს დაეკისროთ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში დაუტოვონ უფლებანი და გაანთავისუფლონ უსარგებლო მოვალეობებისაგან. ამ მიმართულებით, ჩვენ ექსპერიმენტის სახით წლის დასაწყისში, ერთ-ერთ მიკრორაიონში სადაც გასულ წელს გამწვავდა ოპერატიული მდგომარეობა, შევქმენით ე. წ. „პასუხისმგებლობის ზონა". შედეგები უკვე სახეზეა. მიკრორაიონში სადაც 20 ათასი მოსახლეა, გასულ წლებთან შედარებით დღეისათვის 7-ჯერ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა, რომლებიც უბნის ინსპექტორთა აქტიური დახმარებით გაიხსნა. გათვალისწინებულია ამ გამოცდილების სხვა მიკრორაიონებში გამოყენებაც...

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი ნ. ტარასენკო.

თათბირზე მიიღეს რეზოლუცია. დააჯილდოვეს მოწინავე უბნის ინსპექტორები.

# УКАЗ

## Президиума Верховного Совета СССР

### О НАГРАЖДЕНИИ ОРДЕНОМ И МЕДАЛЬЮ СССР МАЙОРА МИЛИЦИИ ПАЧУЛИЯ Ш. Г. И СТАРШЕГО ЛЕЙТЕНАНТА МИЛИЦИИ ТРЕГУБОВА Е. И.

**За мужество и самоотверженные действия, проявленные при задержании опасных вооруженных преступников, наградить:**

**ОРДЕНОМ КРАСНОЙ ЗВЕЗДЫ**

**Пачулия Шалико Герасимовича** — майора милиции (посмертно).

**МЕДАЛЬЮ «ЗА ОТВАГУ»**

**Трегубова Евгения Ивановича** — старшего лейтенанта милиции.

**Председатель Президиума Верховного Совета СССР**
**М. ГОРБАЧЕВ.**

**Секретарь Президиума Верховного Совета СССР**
**Т. МЕНТЕШАШВИЛИ.**

Москва, Кремль.
17 ноября 1988 г.

# НА СТРАЖЕ ЮЖНЫХ РУБЕЖЕЙ



**РАДОСТНОЕ событие произошло на днях в семье инспектора Информационного центра МВД ГССР С. Какулия — получено благодарственное письмо из воинской части, где служит ее сын Паата. «Уважаемые Джолия Реваз Кондратьевич и Какулия Светлана Алексеевна,— пишут родителям заместитель секретаря комсомольской организации Н-ской воинской части и помощник начальника политотдела по комсомолу, секретарь комсомольской организации части. — В стране идет процесс обновления всех сторон нашей жизни. Высоко оценивая курс партии на перестройку, комсомольцы Вооруженных Сил СССР, нашей части бдительно стоят на страже южных рубежей Родины, подавая пример отличного несения боевого дежурства.**

**В числе лучших комсомольцев, активистов части, вносящих свой вклад в дело дальнейшего повышения боевой готовности и активного претворения в жизнь идей партии, мы смело называем Вашего сына Джолия Паату Ревазовича.**

**С полным правом можете гордиться своим сыном, несущим нелегкую воинскую службу. Сердечно благодарим Вас за воспитание верного защитника нашей любимой Родины».**

## ყურადღება: ეს სიახლეა

●

**ჩვენი ერის ისტორიის, საქვეყნოდ აღიარებული ქართული ენის, კულტურისა და ხელოვნების ღრმა ცოდნა ყოველთვის იყო და იქნება სავალდებულო და საინტერესო თითოეული ჩვენგანისათვის, მითუმეტეს, ამ მხრივ, მეტი მოეთხოვება ადმინისტრაციულ ორგანოს მუშაკს, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს საზოგადოებასთან და**

# პირველი გაკვეთილი

**ცხადია იგი სხვებისგან უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ინტელექტით, ენობრივი სიწმინდით და ერის ისტორიის ღრმა ცოდნით.**

**კარგ ინიციატივას დაედო ამ დღეებში სათავე ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. მილიციის პირადი შემადგენლობის უშუალო თაოსნობით აქ საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სკოლა, სადაც მსმენელები შეისწავლიან საქართველოს ისტორიას, ქართული ენის, კულტურისა და ხელოვნების საკითხებს. სკოლას უძღვება პედაგოგი, პროპაგანდისტი რუბენ თუთბერიძე.**

**უკვე ჩატარდა პირველი გაკვეთილიც...**

КУРСОМ XIX ПАРТКОНФЕРЕНЦИИ

# НЕТ ДЕМОКРАТИИ БЕЗ ПРАВОПОРЯДКА

**НЕДАВНО в центральной печати были опубликованы Указы Верховного Совета СССР «О порядке организации и проведения собраний, митингов, уличных шествий и демонстраций в СССР» и «Об обязанностях и правах внутренних войск Министерства внутренних дел СССР при охране общественного порядка». Обусловлено ли принятие этих документов какими-либо особыми обстоятельствами, — с такого вопроса началась беседа нашего корреспондента с командиром одного из подразделений внутренних войск МВД СССР подполковником милиции А. А. Мардяном.**

**Процессы демократизации, проходящие сейчас в нашей стране, высвободили творческую активность людей, дали возможность каждому открыто высказывать свое мнение по любому вопросу. Это радует. Однако, наряду со здоровыми силами общества, подняли голову и те, кто воспринял демократизацию как вседозволенность и анархию. Мутная пена на волне перестройки и гласности кое-где выплеснулась на улицы и площади наших городов. Порой на различных собраниях и несанкционированных митингах начались раздаваться провокационные призывы, сеющие недоверие и неприязнь к органам государственной власти.**

**Широко известны прокатившиеся по ряду городов страны драки хулиганствующих группировок молодежи. В этих условиях естественным было решение о более активном привлечении внутренних войск к оказанию помощи милиции в охране правопорядка.**

**Утвержденные на сессии Верховного Совета СССР Указы конкретизируют важные конституционные положения, четко определяют права и обязанности как граждан, так и государственных и общественных организаций на нынешнем этапе перестройки.**



**В утвержденных Указах определены функции внутренних войск, очерчен круг задач, которые они решают. Кажется, ни у кого не должно оставаться сомнения, что действуют они только во имя народа, каждого из нас. Но не секрет, что бытуют еще различные опасения на этот счет, а порой воины подразделений внутренних войск воспринимаются неправильно, только как «охранники заключенных», грубая сила подавления.**

**Если говорить о задачах, которые выполняют военнослужащие в настоящее время, то в сжатом виде — это охрана государственных объектов, специальных грузов, ИТК, воспитательно - трудовых профилакториев, оказание помощи в содействии органам внутренних дел в охране общественного порядка.**

Давайте, товарищ подполковник, подробнее остановимся на вопросах охраны общественного порядка. Ведь мы привыкли, что эту функцию выполняют сотрудники милиции, а не подразделения внутренних войск.

**Все правильно, основная нагрузка по поддержанию общественного порядка, естественно, возлагается на органы милиции, а из наших сил — на специальные моторизованные подразделения милиции, и при необходимости, — на части оперативного назначения, которые несут патрульно-постовую службу. Внутренние войска также обеспечивают общественный порядок в период массовых мероприятий.**

**У нас сложились хорошие, деловые взаимоотношения с МВД республики, УВД Тбилгорисполкома, с которыми часто организуются совместные рейды. Мы поставили вопрос перед партийными органами и ОВД республики об установлении селекторной связи с УВД г. Тбилиси, что улучшило бы наше взаимодействие. Этот вопрос находится в стадии решения. Мы предполагаем предложить руководству УВД г. Тбилиси составить четкий график дежурства дружинников с нашими подразделениями, а также поставить перед партийными органами вопрос о возобновлении местного призыва в подразделения внутренних войск. Эффект будет большой — ведь местный житель знает обычаи народа, его особенности, наконец, владеет языком коренного населения.**

Что конкретно предпринимается в вашем подразделении для улучшения охраны общественного порядка в столице республики?

**Мы хотим предложить руководству УВД Тбилгорисполкома создать «группу маневра» из 10-15 человек, в которую войдут дружинники, участковые инспектора и представители нашего подразделения. Они в течение шести часов несения патрульно-постовой службы в «горячих» точках города будут выявлять правонарушителей, наркоманов, принимать в отношении них предусмотренные законом меры.**

Беседу вел **А. МАЛАЯНЦ.**

1 დეკემბერი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შექმნის დღეა

# მოზარდი და საზოგადოება

**ჩვენი შეხვედრა** ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარესთან, კლარა ხვანიძესთან, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის შექმნის დღეს მიეძღვნა. ქალბატონი კლარა რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარეცაა და დღეს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით ვეწვიეთ.

**— ქალბატონო კლარა, თქვენ როგორც პედაგოგი და მოზარდთა ფსიქოლოგიის კარგი მცოდნე, როგორ ახსნას მისცემდით ასეთ პრეცედენტს?**

— ოჯახი და მხოლოდ ოჯახი არის მოზარდთა დამახინჯებული ფსიქიკის მიზეზი. ჩვენ დღეს რაიონში აღრიცხვაზე გვყავს 161 ძნელად აღსაზრდელი ბავშვი, რომლებიც როგორც წესი არიან ლოთების, ამორალური საქციელის, მრავალჯერ ნასამართლევთა, დაშლილი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები. როდესაც მოზარდი ოჯახში დატრიალებული ყოველდღიური დრამის მოწმე ხდება იგი ნუგეშს ქუჩაში ეძებს.

**— მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მათი შემობრუნება...**

— მიგიხვდით, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს, ჩვენ ბოლო თვეში აღრიცხვიდან მოვხსენით ოთხი ძნელად აღსაზრდელი, რომლებიც უკვე საქმით იმსახურებენ მათდამი რწმენას.

საერთოდ კი გასულ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით არასრულწლოვანთა შორის დანაშაულმა ოთხი ერთეულით იკლო. ჯერ სანუგეშო და დასამშვიდებელი შეიძლება არაფერი იყოს, მაგრამ ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

**— ქალბატონო კლარა, რა უმთავრეს მეთოდებს და პრინციპებს აღნიშნავდით არასრულწლოვანებთან მუშაობაში?**

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენს კომისიაში შედის სხვადასხვა პროფესიის 15 წევრი, ე. ი. ახალგაზრდობასთან ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს აქვს კავშირი. ჩვენ უდიდეს დახმარებას გვიწევს შს რაიგანყოფილება და უშუალოდ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია, ასე რომ ღონისძიებები და მუშაობის მეთოდები მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით და წინასწარ მოლაპარაკებით ხდება.

პირველი, რასაც აღვნიშნავდი, ეს არის პროფილაქტიკური მუშაობა, რაც გამოიხატება რეიდებსა და ძნელად აღსაზრდელებთან ინდივიდუალურ მუშაობაში.

მეორე, რასაც ერთ-ერთ აუცილებელ მეთოდად მიიჩნევს კომისია, ეს არის ოჯახებთან მუშაობა, მათი შესწავლა და მოსალოდნელი დანაშაულის თუ მოზარდის აღრიცხვაზე აყვანის პროფილაქტიკით თავიდან აცილება.

**— რა პოზიცია უკავია ამ მიმართულებით პედკოლექტივებს?**

— პედკოლექტივები ცოტა არ იყოს სცოდავენ ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში, ასე მაგალითად ამას წინათ შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსმა ვ. სანიშვილმა და ჩვენი კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ყიფიანმა შეამოწმეს რამდენიმე სკოლა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (შეგნებულად მათ ნომრებს არ ვასახელებთ) და აი რა აღმოჩნდა: აღრიცხვაზე მყოფ მოზარდებთან არ ტარდება არავითარი ინდივიდუალური მუშაობა არ არის მათი ადგილზე დამაგრების, დაინტერესების მცდელობაც კი, კვირის მანძილზე რომ არ გამოცხადდეს ბავშვი სკოლაში არ ხდება მისი აღრიცხვა და შესაბამისი ინსტანციების, კერძოდ ჩვენი ინფორმირება.

— უნებლიედ მახსენდება ა. მაკარენკოს თამაშობებით მიზიდვისა და დაინტერესების მეთოდი, რომელსაც დიდი ეფექტი ჰქონდა მოზარდის საზოგადოებასთან დაახლოებაში...

— საქარხნო რაიონს ქალაქში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სტადიონების, დარბაზების რიცხვით.

გასულ წლამდე არასრულწლოვანთა ყველა სპორტის ამა თუ იმ სახით დაინტერესებას სტიქიური და შეიძლება ითქვას უპერსპექტივო ხასიათი ჰქონდა. წელს რაიალმასკომმა და შს რაიგანყოფილებამ გამოგვიყო ფონდები, რამაც საშუალება მოგცა მოგვეწვია მწვრთნელები და მოზარდები აქტიურ სპორტში ჩაგვება.

**— ქალბატონო კლარა, ნება მიბოძეთ, წარმატება ვუსურვო მთელს თქვენს კოლექტივს ამ ფრიად ეროვნულ და საპასუხისმგებლო საქმეში.**

ხ. ალავიძე.



სურათზე: საქარხნო რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარე კ. ხვანიძე, ამავე კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. ყიფიანი და შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი, მილიციის კაპიტანი ვ. ხანიშვილი ბავშვებთან მუშაობის დროს.

**По представленному редакции газеты МВД ГССР «Боевой страж» за активное сотрудничество с газетой, помощь редакции в освещении жизни и деятельности местных органов внутренних дел поощрены приказом министра внутренних дел Грузинской ССР:**

## ХРОНИКА

— майор милиции **Габелия Джемал Орестович,** заместитель начальника Гальского РОВД по политической части;

— капитан милиции **Далакишвили Нодари Отарович,** заместитель начальника Горийского ГОВД по политической части;

— капитан милиции **Лежава Иван Амбросьевич,** начальник политчасти Руставского ГОВД;

— старший лейтенант милиции **Гуцмазты Темур Захарович,** инструктор пресс-группы УВД Юго-Осетинского облисполкома;

— **Чочуа Левтерий Петрович,** начальник отряда профессиональной пожарной охраны г. Поти.

БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# ПРЕСЕКАЯ ПРЕСТУПНЫЙ БИЗНЕС

**СРЕДИ** задач, решаемых сотрудниками органов внутренних дел республики по борьбе с распространением наркомании, одной из основных является задача выявления распространителей наркотиков. Особая циничность деятелей этого преступного бизнеса заключается в том, что они, ради наживы, ставят под угрозу жизнь и здоровье своих сограждан.

Ряд успешных операций по пресечению деятельности бизнесменов от наркомании провели в последнее время сотрудники уголовного розыска Октябрьского РОВД г. Тбилиси (начальник — майор милиции Г. Гоголадзе). Так, в сентябре месяце т. г. в отдел из Республиканской клинической больницы был доставлен ранее неоднократно судимый Ш. Д., уличенный в применении и хранении наркотиков. У него было изъято по 20 таблеток рецедрома, мепробромата и пеналиума. Сами по себе эти лекарственные препараты не являются запрещенными, но их выдача строго регламентирована и разрешена только по специальному рецепту врача.

В ходе расследования группой, в состав которой вошли заместитель начальника отдела по политической части майор милиции Т. Сабанадзе, старший следователь капитан милиции Д. Сабелашвили, оперуполномоченный БХСС старший лейтенант милиции Г. Нинуа, оперуполномоченный УР лейтенант милиции Д. Джаджвадзе и заместитель прокурора Октябрьского района столицы республики, было установлено, что Ш. Д. уже в течение 4-5 лет незаконно приобретал наркотические вещества у заведующей одной из аптек Кировского района г. Тбилиси М. Б. За последнюю подобную «торговую» операцию Ш. Д. заплатил заведующей аптекой 50 рублей, за 170 таблеток этанол-натрия, 40 таблеток мепробона и 60 таблеток реланиума.

Можно только удивляться той преступной беспринципности, с которой женщина преклонных лет, медицинский работник с высшим образованием занималась подобными противозаконными махинациями. Этот факт еще раз наглядно подтверждает правильность мысли, красной нитью прошедшей во время состоявшегося недавно оперативного совещания сотрудников УВД г. Тбилиси, проведенного заместителем министра внутренних дел республики полковником Т. Эпиташвили, — для успешной борьбы с распространением наркотиков необходимо совершенствование профилактической работы, более тесное и эффективное сотрудничество сотрудников милиции и медицинских работников.

...Площадь Рике — одно из самых любимых мест горожан и гостей столицы Грузии. Однако не желание полюбоваться красотой Метехского замка и другими достопримечательностями привело сюда 15 ноября гр. А. П. Машина с иногородними номерами и его несколько нервное поведение привлекли внимание сотрудников Октябрьского РОВД г. Тбилиси заместителя начальника отдела по оперработе майора милиции Г. Кешелашвили, оперуполномоченных УР капитана милиции А. Евгенидзе, лейтенанта милиции А. Майсурадзе и командира подразделения ППС старшего лейтенанта милиции В. Надирадзе.

Когда они попросили А. П. предъявить документы, тот еще больше занервничал, попытался оказать сопротивление сотрудникам милиции. При осмотре машины в присутствии понятых были изъяты 69 ампул 2-процентного раствора промедола. У него же на квартире изъяты 17 боевых патронов винтовки Мосина, автоматный патрон и 6 патронов от ПМ.

По обоим указанным фактам сейчас ведется следствие, которое вскоре расставит все точки над «i», воздаст преступникам по заслугам.

**А. ЦАТУРОВ.**

# სიმთვრალიდან დანაშაულამდე ერთი ნაბიჯია

## ანუ რატომ არღვევს წესრიგს წესრიგის დამცველი

უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევად გააქტიურდა ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, ამასთანავე გაძლიერდა შს ორგანოების თანამშრომელთა შორის სიმთვრალის თვითოეულ ფაქტზე რეაგირების სიმკაცრე.

გატარებული ღონისძიებების შედეგად შესამჩნევად იკლო იმ თანამშრომელთა რიცხვმა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში, მაგალითად: 1988 წლის 9 თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გამოვლინებული იქნა 25% ნაკლები ასეთი თანამშრომელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების აპარატისა და პირადი შემადგენლობის ინსპექციის თანამშრომლების მონაწილეობით ეწყობა მიზნობრივი შემოწმებები და რეიდები.

ერთ-ერთი ასეთი რეიდის დროს გამოვლინებული იქნა სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებათა დაცვის დანაყოფის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაური, მილიციის უფროსი ლეიტენანტი კ. მეხტიევი, რომელმაც 1988 წლის 29 იანვარს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო სპირტიანი სასმელები, რის შემდეგაც თვითნებურად მოხსნა საგუშაგოდან რიგითი მილიციელი რ. გალანდაროვი, რომელსაც უნდა მიეყვანა სახლში, გზაში აიძულა იგი დაერღვია საგზაო მოძრაობის წესები, რა დროსაც იგი გაჩერებული იქნა რეიდის მონაწილეების მიერ. კ. მეხტიევი დათხოვნილია შს ორგანოებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ 1988 წლის საანგარიშო პერიოდში შესამჩნევად მოიმატა იმ თანამშრომელთა რიცხვმა, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდნენ ა/მანქანას (87,5%) და გაიზარდა აგრეთვე ასეთი თანამშრომლების მიერ მოხდენილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვიც (3/1), რომლებიც დამთავრდა მოქალაქეთა სიკვდილიანობით და სხეულის მძიმე დაზიანებით.



1988 წლის 28 აპრილს გორის რაიონის სოფელ ვარიანის ტერიტორიაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, გორის შს საქალაქო განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების მილიციელი გ. ასანიძე ავტომანქანით შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ ავტომანქანას, რის შედეგადაც მძღოლი ბ. თანდიაშვილი და მის მანქანაში მყოფი ერთი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ოთხმა მგზავრმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. გორის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ვ. ასანიძეს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1988 წლის 13 იანვარს ქ. ზესტაფონში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ქუთაისის შს სამმართველოს №20 სპეცკომენდატურის მორიგემ, მილიციის მაიორმა გ. ფურცხვანიძემ, რომელიც მართავდა მის კუთვნილ ავტომანქანას, უხეშად დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, გადავიდა შემხვედრ ზოლზე და შეეჯახა ავტომანქანა „ჟიგულს", რის შედეგადაც, მეორე მანქანის მძღოლმა და 2 მგზავრმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა დაზიანებები. გ. ფურცხვანიძეს ზესტაფონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას შორის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოსაფხვრელად გაწეული სუსტი მუშაობისა და გატარებულ ღონისძიებათა ნაკლები ეფექტიანობის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს, შს ორგანოებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა მხრიდან ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი ჯერ კიდევ არსებული ფორმალური მიდგომა. აღნიშნულის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 1988 წლის 9 თვეში ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევისათვის დასჯილ თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან 38, 7% ანუ ერთი მესამედი მოდის არასაუწყებო დაცვისა და სახანძრო დაცვის სამმართველოების სისტემაში შემავალ ქვედანაყოფთა მუშაკებზე. 27, 6% სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებათა დაცვის დანაყოფის თანამშრომლებზე, ხოლო 38, 7% სხვა დანარჩენი ორგანოებისა და დანაყოფების თანამშრომლებზე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე დგას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთ შს საქალაქო და რაიგანყოფილებაში, 1988 წლის 9 თვეში დასჯილი იქნა დისციპლინარული წესით ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევისათვის 12 შს საქალაქო და რაიგანყოფილების 21 თანამშრომელი, მათ შორის ზოგიერთი განყოფილების 2 და მეტი თანამშრომელი.

მაგალითად: გორის შს საქალაქო განყოფილება—4, ბათუმისა და ცხინვალის საქალაქო განყოფილებები—3, სოხუმის შს საქალაქო განყოფილება — 2, ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებში მდგომარეობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის არაფრით არ შეცვლილა.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დამრღვევი თანამშრომლიდან 67,6% დათხოვნილი იქნა შს ორგანოებიდან, რაც 18,2%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აღსანიშნავია, რომ დასჯილი თანამშრომლებიდან 18,8% შეადგენს სკკპ წევრებს, ხოლო 30,7% ალკკ წევრებს. სკკპ წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში და დაისაჯნენ დისციპლინარული წესით, ასევე იქნენ დასჯილი პარტიული ხაზით, ხოლო ერთი თანამშრომელი, მილიციის მაიორი გ. ფურცხვანიძე, რომელიც მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გარიცხული იქნა სკკპ რიგებიდან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აუცილებელია მივაღწიოთ აღმზრდელობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სრულყოფას, რომელიც მიმართული იქნება შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა და ცხოვრების ფხიზელი ყოფის დასამკვიდრებლად.

ზ. ამილახვარი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი.

## ТЕПЛО НАШИХ СЕРДЕЦ ПОДРОСТКАМ



# Продолжение доброй традиции

ДОБРОЙ традицией сотрудников органов внутренних дел является их шефство над детскими домами. Встречи с сотрудниками милиции всегда приносят воспитанникам детских домов большую радость. Так было и во время недавней встречи воспитанников школы-интерната села Кицкхи Орджоникидзевского района с сотрудниками Зестафонского РОВД — начальником отдела подполковником милиции Р. Кобахидзе, его заместителем по политчасти капитаном милиции А. Ареваадзе, начальниками отделений майорами милиции Т. Нозадзе и Г. Каландадзе, старшим лейтенантом милиции З. Гурули и заместителем редактора районной газеты «Ленинели» М. Джугели.

Во время встречи, приуроченной к Дню советской милиции, сотрудники отдела преподнесли в подарок воспитанникам школы-интерната спортивный инвентарь, угостили их кондитерскими изделиями, побеседовали с ребятами по интересующим их вопросам, сфотографировались на память. В разговоре с руководством школы-интерната были намечены планы дальнейших встреч и других совместных мероприятий.

А. ЛОМИДЗЕ.

## КУЗНИЦА ЗДОРОВЬЯ

МНОГО сил и энергии тратят сотрудники органов внутренних дел в своей повседневной работе по охране правопорядка и социалистической законности. Для того, чтобы восстановить их силы, вернуть сотрудников в строй, поправить их здоровье в нашей стране функционируют множество лечебных заведений.

подводный душ-массаж, лечебный массаж, лечебно-физкультурный комплекс, иглорефлексотерапия, психотерапия, электросон, электросветолечение и другие.

Хорошо организовано в санатории и лечебное питание. В последние годы освоена технология приготовления и включено в меню 8 новых блюд, в том числе четыре национальной кухни. Большим успехом у отдыхающих пользуются хачапури, чебуреки, хинкали, витаминированные дрожжевые напитки.




Большой популярностью среди лечебных заведений для сотрудников органов внутренних дел пользуется санаторий МВД Грузинской ССР «Айя» (начальник — майор внутренней службы М. Иоселиани), расположенный в городе Цхалтубо. Здесь ежегодно улучшают свое здоровье около пяти тысяч сотрудников ОВД. Только за десять месяцев нынешнего года здесь прошли санаторное лечение 3.900 сотрудников, и 98 процентов из них выписались с улучшением здоровья.

В санатории проводятся многочисленные лечебно-профилактические процедуры —

Опытные врачи проводят занятия по лечебной гимнастике, различные спортивные мероприятия. К услугам отдыхающих волейбольная площадка, теннисный корт, а в уютном холле можно поиграть в настольный теннис, шашки и шахматы. В свободное от лечебных процедур время отдыхающие могут посмотреть кинофильмы, концерты с участием артистов Грузгосфилармонии, потанцевать.

Покидая санаторий, многие из сотрудников оставляют в книге отзывов записи, полные слов благодарности в адрес медперсонала и всего коллектива санатория. «Мы, сотрудники УВД Могилевского облисполкома, выражаем свою искреннюю благодарность за чуткое, сердечное грузинское гостеприимство, за идеальную чистоту и хорошее лечение врачам, медсестрам и санитаркам. Майоры милиции Козлов, Веселов». С такими же словами благодарности обращаются к сотрудникам коллектива санатория подполковник внутренней службы С. Мачаварнани, майор милиции В. Алиев и многие другие сотрудники, отдыхавшие здесь в последнее время.

А. КАРСЕЛИ.

* * *

НА СНИМКАХ: организация отдыха и лечения в санатории «Айя».

გ. სანადირაძე

# ნადირობა მგლებზე

რომანი-ქრონიკა

(იბეჭდება შემოკლებით)



...გენერალმა ყურადღებით მოუსმინა შადურს.

— არავითარი დანდობა, გადაუწურეთ ყოველგვარი იმედი, იგი უნდა გამოცხადდეს და აღიაროს დანაშაული! უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ გავსრესთ მას... გავანადგურებთ... მაგრამ ჩვენი ჰუმანური კანონის გამო ვიკავებთ თავს... როდის აპირებთ ხუჩბაროვთან ხელახალ შეხვედრას?

— ათ იანვარს.

— ვარლამ! — თქვა ინაურმა შეცვლილი ხმით, — ხუჩბაროვი სადიზმსა და ვერაგობასთანაა წილნაყარი. ძნელია მისი ჩანაფიქრის ამოცნობა. გასაოცარი სიფრთხილე გვმართებს. ვის წაყვანას აპირებ?

— აბუბაქარის გარდა მე ვიქნები, ნოდარ კომახიძე და გიორგი გუჩმაზაშვილი...

გენერალმა დაწვრილებით ახსნა შეხვედრის ყოველი დეტალი და დაურთო:

— ასე დავთქვათ, თუ ათი საათის განმავლობაში არ დაბრუნდებით ხუჩბაროვის ბაზიდან, ჩვენი ოპერატიული ჯგუფი მაშინვე დაიძრება თქვენს დასახსნელად, — გაიცინა, — რა იცი, შეიძლება ასეთი რამეც მოხდეს.

...იმ დღესვე გაემგზავრნენ შუაფხოვისაკენ.

...ვარლამი ფიქრმა გაიტაცა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები... მაშინ, 1923 წელს საქართველოში მოქმედებდა ოცდათორმეტი კარგად შეიარაღებული სხვადასხვა ბანდა. შედეგი — ჩეკისტებმა შესძლეს მათი ლიკვიდაცია. გადის დრო „ინტელიჯენს სერვისი" სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენს საქართველოსადმი. ქართველ ჩეკისტებს ბრძოლა უხდებათ ჯეიმს ატელსა და მის მსგავს ჯაშუშებთან. არ ისვენებენ რენეგატები. არ წყდება ავანტიურისტთა ნაკადი

ჩვენი წყობილების ხელყოფას ათასნაირი ჯურის ნაძირალა და პოლიტიკური ბანდიტი აპირებს — ყველა მათ ცდას საიმედო ხერგილი უდგას წინ... გერმანიის დაზვერვა „მეხუთე კოლონის" მეშვეობით ცდილობს ააჯანყოს საქართველოს მთელი რიგი რაიონები. ერთიმეორის მიყოლებით იგზავნება ჯაშუშ-დივერსანტთა ჯგუფები. საბჭოთა ჩეკისტები ფხიზლობენ. ეს მათი წყალობაა, რომ დროულად განაიარაღეს „აბვერის" ჯაშუშები ამბროლაურის, მახარაძის, ოჩამჩირის, თელავის, ბოლნისის რაიონებში...

შემდეგ ვარლამი ახმად ხუჩბაროვზე ფიქრობდა, რომლის „სამოღვაწეო არე" ტყუპისცალივით გავდა უკვე ლიკვიდირებულ ბანდიტთა განვლილ ცხოვრებას. წვავს სახლებს, იტაცებს ქალებს, საქონელს. გაუგონარი სისასტიკით უსწორდება საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებს. გაჭიანურდა ხუჩბაროვის ბანდისა და საბჭოთა ორგანოების ბრძოლა. ხუჩბაროვი ყოველთვის ახერხებს ხელიდან გასხლტომას. მისი ბანდა კიდევ უფრო იზრდება ომის მიწურულს — მიემატნენ სამშობლოს მოღალატენი, სხვადასხვა ჯურის ნაძირალები. ახლა სცენაზე გამოჩნდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და მის კალთას ამოფარებული ორგანიზაცია — „ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული გაერთიანება", ანუ ე. წ. „სკანო".

რამდენი მსხვერპლი! უდანაშაულო ადამიანთა სისხლით გაჯერებული მიწა! აწიოკებული სოფლები!...

დილის სიჩუმეში ზარივით რეკს გიორგის ხმა:

— მოდით ამ ფარეხში შევიხედოთ, არ მომწონს აქაურობა.

ცხენებიდან ჩამოხტნენ.

— თქვენ აქ დაგველოდეთ! — მოუბრუნდა ვარლამი ნოდარსა და აბუბაქარს, — მე და გიორგი ფარეხს დავათვალიერებთ.

მიტოვებული ფარეხი იყო. ეტყობოდა კარგახანია არავის გამოუყენებია, ყორნები მშვიდად დარონინობდნენ მის გარშემო.

კარი შეაღეს. შევიდნენ. მერე ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ბნელი კუთხიდან ვიღაც ახმახი გამოვარდა ყვირილით და ვარლამს შაშხანა მიაბჯინა მკერდზე.

— რას ნიშნავს ეს? — იყვირა გიორგიმ.

ბანდიტის სახე — არაფრისმთქმელი, გაქვავებული. თვალები უპრიალებს მხოლოდ. მან წამით გაიხედა გიორგისაკენ, თვალთა კუთხით გაიხედა და ეს საკმარისი იყო ვარლამ შადურისათვის, რომ გულზე მიბჯენილი შაშხანა ხელიდან გამოეგლიჯა.

ბანდიტი დაიბნა. სახე ერთბაშად აერია. განწირულივით მიეგდო კუთხეში.

„კიდევ ხომ არ იმალება ვინმე? — გაუელვა ვარლამს, — ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი!"

გიორგიმ მუჯლუგუნი წაკრა მიწაზე მოკუნტულ ჭაბუკს.

— სხვები სად არიან?

ახალგაზრდამ ხელი ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა და თავის ენაზე წაილუღლუღა რაღაც.

— გვამოწმებენ, — თქვა მშვიდად ვარლამ შადურმა, — აინტერესებთ გვაქვს თუ არა იარაღი.

— კი მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით?

გიორგიმ შაშხანას დაავლო ხელი.

— თავს გავუხეთქავ ამ გველის წიწილს!

— არ გაბედო! — მუდარა გაისმა ვარლამის ხმაში, — მაგათაც ეგ უნდათ... მოლაპარაკების ჩაშლის საბაბს მივცემთ...

ახმახმა კიდევ წაილუღლუღა რაღაც, ახმადი ახსენა.

— რა უნდა? მიაჩერდა აბუბაქარს ვარლამი.

— ითხოვს ნება დამრთეთ გაგაცილოთო.

— ჯანდაბას მაგის თავი, წამოვიდეს. ოღონდ ოინბაზობის გარეშე?

ნახევარი საათის შემდეგ აბუბაქარი ვარლამს მიუახლოვდა:

— ახმადს ადგილი გამოუცვლია თურმე! ამ ადგილებს ვერ ვცნობ...

— შენ ის თქვი, ამჯერადაც თუ ტყუილად ამოგვიყვანა! — გაცხარდა ნოდარ კომახიძე.

მაგრამ ნოდარის შიში უსაფუძვლო იყო, ამჯერად.

●

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 45-48.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


# იჩქარეთ!

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ!

„მებრძოლ გუშაგზე" ხელმოწერა შესაძლებელია დეკემბრის პირველ ნახევარშიც.

ინდექსი: 66639. ფასი 3 მან. 12 კაპ.

Боевой страж — მებრძოლი გუშაგი


НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოზბალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომრაულის 29.

უე 00376